



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 11 ივლისი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „რუმსი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
4. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
7. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
8. მარინა ჟორდანია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
9. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
10. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
11. ლიკა მარღანია - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“-ის საქართველოს წარმომადგენლობა
12. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

მოწვეული სტუმრები: მარინა არაბიძე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტოს დაბინძურების მონიტორინგის სამსახურის უფროსი.

ქეთევან კორძაძია - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის უფროსი.

განსახილველი საკითხები:

- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა საქართველოში და დაბინძურების ხარისხის შეფასება
- სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
- ენერგეტიკის სამინისტროსთან სექტორალური შეხვედრისათვის განსახილველი საკითხის მომზადება ჯგუფში:
 - ენერგეტიკის სტრატეგია;
 - ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება.
- ბათუმის მინისტერიალის „გარემო ევროპისათვის“ შედეგები; ჩატარებული პარალელური შეხვედრები და მიღებული დეკლარაციები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ მოწვეული სტუმრები წარუდგინა ჯგუფს და თავის მხრივ, მათ გააცნო საქართველოს ეროვნული პლატფორმის მესამე სამუშაო ჯგუფის საქმიანობები.

შეხვედრის პირველი ნაწილი მიემდგვნა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს - „ენერგეტიკა და ჰაერის დაბინძურება“. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო იმ ქვეყნების სათავეშია, სადაც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ინფორმაცია ეყრდნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) „მსოფლიო ჯანმრთელობის სტატისტიკა 2016“ ცნობარის მონაცემებს, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება 2012 წლის გაზომვებს. სწორედ აღნიშნული საკითხი განიხილეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ქეთევან კორძაძემ ისაუბრა კვლევის შედეგებსა და მეთოდოლოგიაზე და აღნიშნა, რომ კვლევაში გამოყენებული პირველადი მასალები საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რისთვისაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას წარედგინა ოფიციალური წერილი აღნიშნული მონაცემების განმარტებისა და დაზუსტების მიზნით. საკითხთან დაკავშირებით უკვე ჩამოსულია დელეგაცია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციიდან და მიმდინარეობს შეხვედრები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

ქალბატონმა მანანამ დევიძემ სთხოვა ქალბატონ ქეთევანს, მას შემდეგ რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დაასრულებს მუშაობას საქართველოში, კონკრეტული შედეგები მიეწოდოს საქართველოს ეროვნულ პლატფორმას, რათა სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლოს მონიტორინგის განხორციელება ამ კონკრეტული მიმართულებით. ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა.

ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივა“ წარმომადგენელი ბატონი დავით ჭიპაშვილი დაინტერესდა აქვს თუ არა სამინისტროს აღნიშნული შედეგების საპირფონო მონაცემები და რა მეთოდებით მოწმდება ჰაერის დაბინძურების ხარისხი.

ქალბატონი მარინა არაბიძის განმარტებით საქართველოში ჰაერის შემადგენლობა მოწმდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად სამი მეთოდის მეშვეობით, მათ შორის ინდიკატორული გაზომვებით, რომელიც დაიწყო შარშან საქართველოს 10 ქალაქში და წელს მოიცვა 17 ქალაქი. მისი ინფორმაციით, ეს გაზომვები ხდება, როგორც ავტომატური სადგურების, ასევე დაკვირვების ჯიხურების მეშვეობით, რომლებიც ქვეყნის რამდენიმე ქალაქშია განთავსებული. ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, რომ ინდიკატორული გაზომვების მიხედვით, საქართველოში მხოლოდ საშუალო დამაბინძურებლები დაფიქსირდა.¹ მან ასევე, დააზუსტა, რომ ინდიკატორული გაზომვები კეთდება დიდი ბრიტანეთის ლაბორატორიებში, ამდენად მათი სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ჰაერში მტვრის შემცველობაზე, რაზეც ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, რომ რამდენჯერმე დაფიქსირდა მტვრის შემცველობის გადაჭარბება.

ქალბატონმა ქეთევან კორძაძიამ, ასევე ისაუბრა ჰაერის კანონის სამუშაო ვერსიაზე. ამ ეტაპისთვის დამუშავებულია მხოლოდ რეგლამენტები და მომავალი წლიდან იგეგმება ახალი კანონის მიღება. ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ მემორანდუმის საფუძველზე, სთხოვა ქალბატონ ქეთევანს პლატფორმას გადმოეგზავნოს პირველადი სამუშაო ვერსია და თავის მხრივ, პლატფორმის წევრი ორგანიზაციები სამინისტროს მიაწვდიან რეკომენდაციებს. ქალბატონი ქეთევანი დასთანხმდა აღნიშნულ წინადადებას.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, ბატონმა თამაზ ვაშაკიძემ ისაუბრა ნავთობპროდუქტების შემომტანი 5 ძირითადი კომპანიის მიერ CO₂-ს გამოყოფაზე და ჯგუფის წევრებს წარუდგინა ის მეთოდოლოგია, რითაც გაიზომა აღნიშნული მახასიათებელი. საკითხზე მომუშავე ჯგუფის დასკვნებით მხოლოდ 5 კომპანიის ფუნქციონირებით 10 მლნ. ტონა CO₂ გამოიყოფა. აქედან გამომდინარე, ბატონი თამაზის მოსაზრებით პრინციპის - „ყველაზე მეტად დამბინძურებელი იხდის ყველაზე მეტს“ ამოქმედება მომგებიანი იქნებოდა. როგორც ბატონმა თამაზმა აღნიშნა, მათმა ჯგუფმა ასევე შეიმუშავა კონკრეტული გზები, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებული გარემოს გაუმჯობესება.

შემდეგ საკითხად მესამე სამუშაო ჯგუფმა მოისმინა ბატონი ანზორ დუნდუასა და ბატონი მურმან მარგველაშვილის მოხსენება ენერგეტიკის სტრატეგიისა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ. ბატონმა ანზორ დუნდუამ ისაუბრა ენერგეტიკის სტრატეგიაზე, რომლის მზადებაც მიმდინარეობს. მან ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რაც სტრატეგიასა და მთლიანად ენერგეტიკულ სისტემას აქვს. მისი თქმით შედეგები ძალიან სავალალოა და საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გააქტიურება, ამდენად ჯგუფი აქტიურად უნდა მოემზადოს ენერგეტიკის სამინისტროსთან სექტორალური შეხვედრისთვის და საკუთარი კონკრეტული წინადადებები წარუდგინოს სამინისტროს.

¹ დანართის სახით იხილეთ პრეზენტაცია

ჯგუფი შეთანხმდა, რომ ჯგუფის წევრები მოამზადებენ განსახილველ საკითხებს, საკუთარ ხედვებსა და რეკომენდაციებს, ჯგუფის კოორდინატორი ბატონი ანზორ დუნდუა კი მისცემს ერთიან სახეს და ჯგუფი მომზადებული წარსდგება სექტორალურ შეხვედრაზე.

ბატონმა მურმან მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე პროცესების გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ 2013 წელს ორგანიზაციამ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ მოამზადა სტრატეგიის დეტალური სამოქმედო გეგმა, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზიც, რომელიც გადაეცა ენერგეტიკის მინისტრს ბატონ კახი კალაძეს, თუმცა მიუხედავად გამოთქმული მზაობისა შედეგი არ დამდგარა.

ბატონმა მურმანმა ჯგუფის წევრებს ასევე გააცნო საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებისთვის მიმდინარე პროცესები. მან აღნიშნა, რომ პროტოკოლი უკვე შეთანხმებულია და მოლაპარაკებები დამთავრებულია. შემდეგ ეტაპზე სამინისტროებმა ერთმანეთში უნდა შეათანხმონ ძირითადი საკითხები და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს იგი. შემდგომ ამისა, ოქტომბერში გაიმართება მინისტრიალი და იქ უნდა იქნეს მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრიანების შესახებ.

მისი თქმით, მიუხედავად პროგრესისა არსებობს საფრთხე, რომ პროცესები გაჭიანურდეს და რეფორმების წარმატებით დასრულებას ხელი შეეშალოს. გარდა ამისა, მემორანდუმები რომლებიც გაუმჭვირვალედ იდება კერძო კომპანიებთან სახელმწიფოსგან კონკრეტულ გარანტიებს გასცემს, რაც რეფორმების პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორია.

ბატონი მურმანის აზრით, იმისთვის რომ არ გაგრძელდეს ამ მიმართულებით გარემოს გაუარესება, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- შეჩერდეს მემორანდუმების გაფორმებები და გამოცხადდეს მორატორიუმი;
- შეფასდეს მემორანდუმების შედეგები და მხოლოდ ამის შემდგომ იქნას გადაწყვეტილება მიღებული;
- კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს ასოცირების ხელშეკრულებას

ბატონმა მურმანმა ასევე აღნიშნა, რომ იგი გახლავთ ასოცირების შეთანხმების მონიტორინგის ჯგუფის წევრი ენერგეტიკის მიმართულებით. მონიტორინგის ფარგლებში იგი მუშაობს დოკუმენტზე, რომელსაც დასრულების შემდეგ გააზიარებს პლატფორმაში.

საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ აღნიშნა, რომ იგი ითხოვდა ხუდონის მშენებლობასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებას, სანამ არ გამოცხადდებოდა ერთიანი პოლიტიკა და არ დაიდებოდა სტრატეგია. ასევე მისი ჩართულობით მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი და მედიაშიც გავრცელდა ინფორმაცია. თუმცა, მისი განცხადებით, საჭიროა უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის მინისტრის გადადგომის მოთხოვნა.

შემდეგ საკითხად ქალბატონმა მანანამ მოკლედ მიმოიხილა ბათუმის მინისტერიალის „გარემო ევროპისათვის“ და მინისტერიალის ფარგლებში ჩატარებული პარალელური შეხვედრების შედეგები და მიღებული დეკლარაციები გააცნო ჯგუფს.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ მოხსენება გადაიღო შემდეგ შეხვედრაზე განსახილველად.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.